

ივნისი, 2025 კლიმატური დახასიათება

ივნისის თვეში ამინდს საქართველოში, ძირითადად, განაპირობებდა აზორის ანტიციკლონის ზემოქმედებით ქვეყნის ტერიტორიაზე დამყარებული შედარებით მაღალი ატმოსფერული წნევა. ამასთან, პერიოდულად ადგილი ჰქონდა ჩრდილო-დასავლეთიდან შედარებით ცივი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელებას, რაც თავის მხრივ, იწვევდა ძლიერი ინტენსივობის წვიმებს და გრილ ამინდებს.

ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ივნისი (გაზაფხულის თვეებისგან განსხვავებით) საკმაოდ გრილი იყო. მრავალწლიურ ჭრილში, ეს იყო ყველაზე გრილი ივნისი 2008 წლის შემდეგ (ნახ.1).

ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე კლიმატური ნორმის ფარგლებში ან უფრო დაბალი იყო (ნახ.1). ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური ნორმიდან საშუალოდ $-0.8 [-2.0, +0.5]^{\circ}\text{C}$ შეადგინა, უდიდესი უარყოფითი გადახრებით დასავლეთში - სამეგრელოს ზღვისპირა და დაბლობ რაიონებში, აღმოსავლეთში - მცხეთა-მთიანეთში. ტემპერატურის დადებითი გადახრები მხოლოდ ქვეყნის ცალკეულ ცენტრალურ რაიონებში დაიკვირვებოდა.

ივნისის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის დაბლობ და ვაკე ტერიტორიაზე $+19, +23^{\circ}\text{C}$, ხოლო მთაში და მაღალ მთაში $+13, +18^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში აღინიშნა, უდიდესი მნიშვნელობებით ქვემო ქართლის ვაკეზე, უმცირესით - სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორიაზე.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები ტერიტორიის ნაწილზე თვის შუა რიცხვებში (11-13 ივნისი), დანარჩენ ტერიტორიაზე, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში თვის ბოლოს (26-28 ივნისი) დაფიქსირდა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას ივნისის თვეში ადგილი არ ჰქონია. ტემპერატურამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს ($+33, +36^{\circ}\text{C}$) დასავლეთში - იმერეთის დაბლობზე და მიმდებარე მთისწინეთში, აღმოსავლეთში - შიდა და ქვემო ქართლის ვაკე ტერიტორიაზე მიაღწია.

ივნისში ყველაზე დაბალი ტემპერატურები, ძირითადად, თვის ბოლო რიცხვებში (24-27 ივნისი) დაიკვირვებოდა, თუმცა ცალკეულ რაიონებში თვის დასაწყისში ან თვის მეორე დეკადაშიც დაფიქსირდა. აბ. მინიმუმები მთაში და მაღალ მთაში, ასევე, შიდა ქართლის ბარში $+9, +4^{\circ}\text{C}$, ხოლო საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ცალკეულ მაღალმთიან რაიონებში $+1, -1^{\circ}\text{C}$ -მდე დაეცა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას ივნისის თვეში, არც მინიმუმების შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია.

ნალექების რაოდენობის მიხედვით, ივნისის თვე ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე ნორმაზე დაბალი ნალექიანობით ხასიათდებოდა. მრავალწლიურ ჭრილში, დაწყებული 1956 წლიდან, ეს იყო რიგით მე-6 ყველაზე მშრალი ივნისი 2010, 2003, 2020, 1994 და 2021 წლების შემდეგ (ნახ.2).


ყველაზე მშრალი პირობები (საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობის 40%-მდე) ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში და მცხეთა-მთიანეთში დაიკვირვებოდა. შედარებით მომატებული ნალექიანობა აღინიშნა მხოლოდ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (დედოფლისწყაროს და გურჯაანის მუნიციპალიტეტები), სადაც ნალექების თვის ჯამები კლიმატური ნორმის მნიშვნელობებს დაახლოებით 50-70%-ით აღემატებოდა, თუმცა ნალექების მაქსიმალური რაოდენობა (150-200 მმ) კვლავ შავი ზღვის სანაპირო ზოლში და მიმდებარე დაბლობ რაიონებში მოვიდა.

როგორც ჩანს, მიმდინარე წლის ივნისის თვეში ნორმაზე დაბალი ნალექიანობა საქართველოში განპირობებული იყო ძირითადად ნალექიან დღეთა სიმცირით. ამასთან, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში ზოგიერთ რაიონში პერიოდულად ადგილი ჰქონდა უხვნალექიან ეპიზოდებსაც.


3 ივნისის ძლიერი ნალექი სეტყვასთან ერთად აღინიშნა კახეთში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი). ადგილობრივი მასმედიის ცნობით, დაიტბორა რამდენიმე სოფელი. სეტყვა 10 წუთს გრძელდებოდა.

თვის მანძილზე სახიფათო მეტეოროლოგიური მოვლენების კატეგორიის ნალექების რაოდენობა მოვიდა ლაგოდების მუნიციპალიტეტში (52 მმ/12 სთ) 7 ივნისს და გურჯაანში (59 მმ/12 სთ) 9 ივნისს. გურჯაანში 9 ივნისს ერთ დღე-ღამეში მოსული ნალექები (73 მმ/24 სთ) ივნისის თვისთვის განეკუთვნება 20-წლიანი

განმეორებადობის ნალექს, ხოლო 8-10 ივნისის სამ დღეში მოსული ნალექების რაოდენობა (142 მმ) თვის საშუალო მრავალწლიურ მაჩვენებლებს თითქმის 50%-ით აჭარბებდა.



ნახ.1. ივნისის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმ. ნალექების ივნისის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში